იოსებ გრიშაშვილის ქ. №25

(წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

საკვლევი ტერიტორია ისტორიული თბილისის გარეუბანში სეიდაბადში, თაბორის ფერდის განაშენიანებაში მდებარეობს. ამ უბანს კალას გალავნიდან წავკისის წყლის ღრმა ხევი ჰყოფდა და სახელი ტფილისი საკუთრივ მას ეწოდებოდა აქ არსებული ცხელი გოგირდიანი წყლების გამო. სეიდაბადი მას შეერქვა XVII ს-ში – როსტომ მეფის დროს აქ გადმოსახლებული სპარსი ტომების – სეიდების გამო, რომელთა უმეტესობა ხელოსნობასა და წვრილ ვაჭრობას მისდევდა. აქ დღესაც ცხოვრობს თბილისში თაობებით დამკვიდრებული მუსლიმი მოსახლეობა.



ხარფუხი. XIX ს-ის მეორე ნახევრის ფოტოსურათი

XIX საუკუნიდან ეს უბანი ხარფუხად მოიხსენიება. ადგილის სახელის ეს ცვლაც ისტორიის გავლენაა. ხარფუხი თაბორის მთის აღმოსავლეთ კალთას ეწოდებოდა. ამ უბნის ურბანული სახის ჩამოყალიბებაში გეოგრაფიულ ფაქტორს იმთავითვე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ქუჩათა ქსელის ფორმირებას სოლოლაკის ქედის გამყოფი ხეობის და თაბორის მთის რთული რელიეფი განაპირობებდა.

უნბის განვითარების მოკლე ისტორია

საუკუნეების მანძილზე სეიდაბად-ხარფუხის ტერტორიამ მნიშვნელოვანი ცვლილები განიცადა: სოფლური ტიპის დასახლებები აქ ადრევე ჩაისახა – XII – XIII საუკუნეებში. მოგვიანებით, ქალაქის ზრდასთან ერთად, განაშენიანებამ ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლამდე და "განჯის კარამდე" მიაღწია.

თეიმურაზ ბაგრატიონი თბილისის აღწერისას წერს: "ტფილისი უწინარეს ვახტანგ გორგასლისა იყო მცირე სოფლებად დაყოფილი: ... სოფელი აბანოების ხევს გაღმა ყოფილა სეიდაბადის ბაღები რომ არის იქ, ტფილს წყლებს ახლო და იმ სოფელს ტფილისი რქმევია... ". XVII ს-ში ტფილისი უკვე ქალაქის გარეუბანია. ამ დროიდან იწყება მისი ხელახალი დასახლება - შაჰ-აბას I-ის შვილიშვილის შაჰ-სეფის (1629 - 1642) დროს მეფე როსტომმა (1632 - 1658) აქ სპარსი სეიდების ტომი ჩამოასახლა. აქედან მოდის უბნის მოგვიანო სახელი - "სეიდაბადი" – სეიდების უბანი.

სეიდაბადს ქალაქის სამხრეთ მისადგომებთან მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილი ეჭირა. სეიდაბადი იცავდა თბილისზე და თაბორის ციხეზე მისასვლელ გზებს. ქალაქის ზღუდეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან 2 კარი ჰქონდა – "განჯისა" და "აბანოსი", სწორედ ამ უკანასკნელის საშუალებით უკავშირდებოდა სეიდაბადი ქალაქს.



1735 წლის თბილისის გეგმა

ვახუშტი ბატონიშვილისეულ *1735 წლის თბილისის გეგმაზე* სეიდაბადი შემდეგნაირად არის მოსაზღვრული: ჩრდილოეთიდან – ქალაქის სამხრეთის ზღუდით და წავკისის ხევით, აღმოსავლეთიდან – მდინარე მტკვრით, სამხრეთიდან – ქალაქის სამხრეთით მდებარე ძველი ზღუდით, ე.წ. განჯის კარით და დასავლეთიდან - თაბორის მთით.

ექსპლიკაციაში, რომელიც ამ გეგმას ერთვის *სეიდაბადი* ორჯერ არის აღნიშნული - № 47-ით "ტფილისის ბაღი სეიდაბადის", რომელიც გაშენებულია მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით, მეორე აღნიშნულია ასო "ი"-თი – "სეიდაბადი ანუ ტფილისი". მასზე დატანილი დასახლების აღმნიშვნელი "უჯრედები" აქ მჭიდრო დასახლებზე მიანიშნებს. ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის რუკაზე გრიშაშვილის ქუჩის წინაპარი ქუჩა უკვე გაკვალულია. განჯის, შემდგომში სურბ-სარქისის (დღევანდელი გრიშაშვილის) ქუჩა – უბნის მთავარი არტერია იყო. აქვე გადიოდა საქარავნო გზა, რომელიც ძველი განჯის გზის ნაწილს წარმოადგენდა.



1802 წლის თბილისის გეგმა

1795 წელს აღა მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად თბილისი და თაბორის ციხე მთლიანად განადგურდა. ***1802 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე*** მხოლოდ აბანოების უბანია ნაჩვენები, რადგან დანარჩენი, სეიდაბადი ამ პერიოდში

დასახლებული აღარ არის და ბაღებით არის დაფარული. 62-ით აღნიშნულია სეიდაბადის ბაღები 104-ით კი განჯის (დღევანდელი გრიშაშვილის ქუჩა) გზა.

ხარფუხი XIX ს-ში სოფლად იხსენიება. მთავარმართებლის - გენერალ ერმოლოვის დროს (1816 - 1827), კერძოდ 1819 წელს, ციხის ქვედა გალავნის მოშლის შემდეგ, ხარფუხი ქალაქის ადმინისტრაციული ნაწილი გახდა და მის მიმართაც გავრცელდა მშენებლობების წინასწარ შედგენილი გეგმით დარეგულირების მოთხოვნა. თუმცა მომდევნო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შედგენილ თბილისის რუკებზე (1843 - 1859) ხარფუხი კვლავ სოფლად მოიხსენიება და ზოგჯერ ძველი სახელით, სეიდაბადით, არის აღნიშნული (1828 წ.).

სოფლური ტიპის დასახლება მხოლოდ თანდათან იძენს ქალაქურთან მიახლოებულ ხასიათს და ისიც მხოლოდ ქუჩების პირა ნაწილში, ფერდებზე მას კვლავ უსისტემო ხასიათი აქვს. გრიშაშვილის და მის მიმდებარე ქუჩებზე ჩნდება ქალაქური ტიპის შენობები – იცვლება არქიტექტურულ-მხატვრული ასპექტები და მშენებლობის მასშტაბი. 1850 წელს მარჯვენა სანაპიროზე გაიყვანეს ვორონცოვის (დღევანდელი გორგასლის) ქუჩა, რომელიც ძველ ქალაქს აკავშირებდა ხარფუხსა და ორთაჭალასთან. ყალიბდება ახლებური სივრცითი ურთიერთმიმართება შენობების არქიტექტურასა და ქუჩა-მოედნებს შორის, თუმცა ხარფუხის ურბანული ქსოვილისა და განაშენიანების ხასიათს მაინც განსაზღვრავდა (და დღესაც ეს უნდა იყოს ამოსავალი პრინციპი) მთის ფერდის რელიეფის თავისებურება.

XX საუკუნის დასაწყისში ხარფუხი უკვე თბილისის განუყოფელი ნაწილია და მისი ურბანული განვითარება ქალაქის ზოგად განვითარებას მისდევს. ძირითადად ამ პერიოდისაა დღევანდელი გორგასლის, გრიშაშვილის და მისი მიმდებარე ქუჩების რუსულ-ევროპული კლასიციზმის გავლენით, თბილისურ ტრადიციაზე გადამუშავებული, ორ-სამ სართულიანი განაშენიანება. ამ პერიოდის თბილისის რუკების მიხედვით ხარფუხის ტერიტორიაზე განვითარებული ქუჩათა ქსელი დღევანდელს შეესაბამება.

პირველი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება, რასაც ურბანული "ერთეულების" გამსხვილებაც მოჰყვა, 1930-იან წლებსა და მის მომდევნო

პერიოდში, მტკვრის სანაპიროს კეთილმოწყობისას, განხორციელდა - გორგასლის ქუჩაზე 1937 წელს ბალნეოლოგიური კურორტის შენობა აიგო (არქ. მ. კალაშნიკოვი, ი. ჟიტკოვსკი). მიუხედავად იმისა, რომ შენობა კორექტულად ჩაეწერა ქალაქის პანორამაში, მან უბნის ძველი მასშტაბი მაინც საგრძნობლად შეცვალა. XX ს-ის მეორე ნახევარიდან სხვა მსხვილგაბარიტიანი შენობებიც გაჩნდა: იაკობ ცურტაველის №29 - ოთხსართულიანი, სადა კუბური მოცულობა, ძველ ორსართულიან აგურის შენობას, სადაც საბჭოთა პერიოდში სკოლა განთავსდა, მესამე სართული დააშენეს და სხვა.



პანორამის ფრაფმენტი. 2004 წლის ფოტოსურათი.

განსაკუთრებით მძიმე, გაუაზრებელი „ჩარევები“ პოსტსაბჭოთა პერიოდიდან იწყება. მომრავლებული ახალმშენებლობების პროექტთა ავტორები უმეტეს შემთხვევაში ანგარიშს არ უწევენ ბუნებრივ ლანდშაპტსა და ურბანული გარემოს მახასიათებლებს. თუ ამგვარი ტენდენცია მომავალშიც გაგრძელება, ეს არქიტექტურასა და რელიეფს შორის ტრადიციულად ჩამოყალიბებული კავშირის საბოლოო მოშლას გამოიწვევს.

საპროექტო ტერიტორია

უბნის განაშენიანების არქიტექტურულ სახეს დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრავდა რთულ მთიან რელიეფზე გაშენებული, ერთმანეთზე ახუნძლული ბანიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც მოგვიანებით თბილისური ტიპის ხის აივნებიანმა ორ-სამ, ზოგან ოთხსართულიანმა სახლებმა შეცვალა. XIX-XX საუკუნეების საარქივო ფოტოებზე ნათლად იკითხება ამ უნბის განაშენიანების ერთიანი კონტექსტი - ლანდშაფტურ გარემოსთან შეთანხმებული და ერთიან არქიტექტურულ მასშტაბს დაქვემდებარებული გარემო. თაბორის ფერდი მოფენილი იყო ორ-სამსართულიანი შენობებით, მათ შორის ჩანს შედარებით ძველი, ერთსართულიანი ბანიანი სახლებიც.



ხარფუხი. პანორამის ფრაგმენტი.

ბევრი უხეში ჩარევის მიუხედავად, ძველი ურბანული ქსოვილის, ბუნებრივი რელიეფისა და რამდენიმე ისტორიული შენობის ორგანული თანაარსებობის წყალობით, ქალაქის ეს ნაწილი, ჯერჯერობით, ისევ ინარჩუნებს გვიანფეოდალური პერიოდის განაშენიანების ნიშნებს და სტრუქტურას.

საპროექტო ტერიტორიის გარშემო დღემდე გვხვდება ქართული ტრადიციის გავლენით XIX საუკუნეში შემუშავებული და ჩამოყალიბებული თბილისური საცხოვრებელი სახლის ტიპები, რომელთა ფასადებშიც ადგილობრივი ტრადიციები ორგანულად ერწყმის კლასიციზმის ელემენტს – იაკობ გრიშაშვილის ქ. №25 - საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო მისამართზე მდებარეობს, ცურტაველის ქ. №11, გიორგი მერჩულეს ქ. №6.



გრიშაშვილის ქ. №25



იაკობ ცურტაველის ქ. №11

სადა არქიტექტურული პროფილებით გაფორმებული ფასადების მთავარი მაორგანიზებელია ჭვირულმოაჯირიანი ხის შეკიდული აივნები, რომლებიც აქტიურად არის ჩართული ქუჩის სივრცით სტრუქტურაში.



ხარფუხი. პანორამის ფრაგმენტი. 2004 წლის ფოტოსურათი.

მიკროუბანში არსებული ძველი შენობების უმეტესობა გადაკეთებული და დაზიანებულია, ბევრ მათგანს მიშენებული აქვს ძველთან შეუსაბამო

მოცულობები, რაც იწვევს შენობათა გარეგნული იერსახის დამახინჯებას და ისედაც ამორტიზირებული ნაგებობების შემდგომ დაზიანებას. მათ შორის მრავლადაა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში აშენებული, უსისტემოდ დაგეგმარებული, შერეული სამშენებლო მასალის (ბლოკი, აგური, ძველი ხის ფიცრები, შიფერი) გამოყენებით, ნაჩქარევად შეკოწიწებული ნაგებობები, რომლებიც დროებითის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგივე ითქმის, საპროექტო ტერიტორიაზე მდგარ შენობასა და მის მიმდებარე სახლებზე.



ხედი საპროექტო ტერიტორიაზე.

მიუხედავად იმისა, რომ შენობების შელახული, მოუწესრიგებელი იერი ერთგვარი ქაოტურობის მიზეზი ხდება, ტერასულად განლაგებული, ერთმანეთში "გადახლართული" განაშენიანება, რომლის კონპიგურაციას რელიეფის თავისებურება განსაზღვრავს, სახასიათო ურბანულ-სივრცით გარემოს ქმნის. ქუჩა-კიბით ერთმანეთთან დაკავშირებული ტერასები კი, ძლიერი პლასტიკურობით ხასიათდება.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ შემორჩენილია ფონური განაშენიანებისთვის ღირებული შენობა, რომელთა ავთენტური სტრუქტურის მახასიათებლების გამოვლენა ჯერ ჯიდევ შესაძლებელია, სწორად ჩატარებული რესტავრაციის შემთხვევაში – გრიშაშვილის ქ. №23 და №29 სახლები.

გრიშაშვილის ქ. №23 უშუალოდ ესაზღვრება საპროექტო შენობას – მოზრდილი, სამსართულიანი სახლი ქუჩასთან შედარებით მაღალ ნიშნულზე

დგას და მოშენების ხაზის სიღრმეშია შეწეული, ორიარუსად განლაგებული ხის აივნები ამორტიზებულია, ნაწილობრივ შემინული.



გრიშაშვილის ქ. №23



გრიშაშვილის ქ. №23 – ზურგის კედელი ხარფუხის ქუჩაზე

სახლის ზურგის კედელი ხარფუხის ქუჩაზე გამოდის და სამშენებლო ნაკვეთს ესაზღვრება – ხარფუხის ქუჩის ვიწრო გასასვლელში კედლის სიბრტყე აგურისა და ქვის შერეული წყობით იქცევს ყურადღებას, თუმცა დაზიანებულია, ხოლო კედლის ძირი ტლანქად არის შელესილი.

გრიშაშვილის ქ. №29 ეზოს განაშენიანება, რომელიც მეორე მხრიდან ესაზღვრება საპროექტო ტერიტორიას, ღირებულია თავისი ურბანული

მდებარეობით – კამერული მოცულობის მქონე შენობები ქუჩიდან მაღალი კედლით არის გამიჯნული და შემაღლებულ რელიეფზე ტერასულად ვითარდება. ქუჩა-კიბე, რომელიც ამ განაშენიანების სტრუქტურის ნაწილად აღიქმება, სივრცის მაორგანიზებელი მნიშვნელოვანი ელემენტია. ქუჩა-კიბე გრიშაშვილის ქუჩას თაბორის მთის კალთის ზედა ტერასებთან აკავშირებს, ამ გზით საპროექტო ტერიტორიამდეც შეიძლება მისვლა. ამგვარ ურბანულ ქსოვილში დღემდე იჩენს თავს გვიანი შუასაუკუნეების დაგეგმარების ნიშნები.



გრიშაშვილის ქ. №29

საპროექტო ტერიტორია გრიშაშვილის ქ. №25 სახლის (კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ბარათის № 010506265) განაშენიანების სიღრმეში მდებარეობს და ამ განაშენიანების არაღირებულ ნაწილს წარმოადგენს – მოგვიანებით აშენებული დამხმარე ნაგებობებია. მას კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნიშნები არ გააჩნია. ზურგის კედელს ხარფუხის ქუჩის კლდოვანი ფერდი ესაზღვრება - შენობა

ერთგვარად ჩაჭედილია ხარფუხის ქუცის კლდოვან ფერდსა და ეზოში განლაგებულ მომცრო შენობებს შორის.




მოცულობები საპროექტო ტერიტორიაზე




მოცულობა საპროექტო ტერიტორიაზე – ზურგის ფასადი.

საპროექტო წინადადებით განზრახულია აღნიშნული, არაღირებული მოცულობების დემონტაჟი და მათ ნაცვლად ახალი შენობის აგება.

დასკვნა და რეკომენდაციები

საპროექტო ტერიტორია გრიშაშვილის ქუჩაზე მჭიდროდ განაშენებული ეზოს სიღრმეშია განლაგებული, ზურგის მხრიდან მას ხარფუხის ქუჩის კლდოვანი ფერდი ესაზღვრება - ერთიმეორის მიჯრით განლაგებული შენობები ისტორიული თვალსაზრისით არაღირებულია და მათი დემონტაჟი დასაშვებია. ზედაპირული დათვალიერებით არ ჩანს ძველი ფენები, შესაძლოა განადგურებულია გვიანდროინდელი მშენებლობების შედეგად.
იმის მიუხედავად, რომ ისტორიული გარემო "დეფორმირებულია" - შეცვლილია ტერიტორიის სივრცით-არქიტექტურული და ბუნებრივი დომინანტები, არსებითად შენარჩუნებულია ბოლო ასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩების ქსელი და ლანდშაფტის თავისებურებებით განპირობებული სივრცით-არქიტექტურული სტრუქტურა. ბუნებრივ რელიეფზე მორგებული შენობები დღესაც რჩება უბნის არქიტექტურული ხასიათის მთავარ განმსაზღვრელად. შესაბამისად ისტორიულ-კულტურული პარამეტრები კვლავაც ანგარიშგასაწევია:

- პროექტირებისას გასათვალისწინებელია რელიეფის თავისებურება მისი რთული კონფიგურაცია, ფერდზე ტერასულად განვითარებული განაშენიანების სივრცით-არქიტექტურული და გეგმარებითი სტრუქტურის თავისებურები და, რაც მთავარია, საპროექტო ნაკვეთის მდებარეობა ამ სისტემაში – აუცილებელია ახლი შენობის მასშტაბი არსებულ ლანდშაფტსა და განაშენიანებას მიესადაგოს. შესაძლოა გრიშაშვილის ქ. №23 სახლი საპროექტო შენობის სიმაღლის საორიენტაციო ნიშნულად გამოდგეს, ამასთან ანგარიში უნდა გაეწიოს გრიშაშვილის ქუჩაზე მდგარ №25 – სახლის მასშტაბს.
- მხედველობაშია მისაღები, როგორც უბნის განაშენიანების ზოგადი ხასიათი, ისე საპროექტო შენობის ერთიანი არქიტექტურული მოცულობა. მისი ცალკეული ფორმა და დეტალი. სასურველია შეიქმნას სივრცის ორგანიზების ისეთი სისტემა, რომელიც მაქსიმალურად

შერბილებს ზღვარს ლანდშაფტსა და არქიტექტურულ მოცულობას შორის და გამოიძებნის ორგანულ კავშირს გარემოსთან.

- საკვლევი უბანის ისტორიულ შენობებში ერთმნიშვნელოვნად ჭარბობს აგური და ხის აივნები, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის შენობებში დამახასიათებელია ლითონის აივნების გამოყენებაც. პროექტირებისას სასურველია ანგარიში გაეწიოს განაშენიანების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტიპოლოგიას, მის ძირითად მახასიათებლებს, რაც სტრუქტურასთან ერთად, ტრადიციული სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის გამოყენებასაც გულისხმობს. შეიძლება გამოყენებულ იქნას თბილისის ამ უბნისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული ელემენტები: ხის აივნები, კიბეთა სისტემა, აგური. ღიობების დამახასიათებელი „ფაქტურის“ მისაღებად შესაძლებელია მუშარაბების გამოყენებაც.
- სასურველია პროექტირებისას გამოყენებულ იქნას აქ დღემდე შენარჩუნებული, თბილისური ეზოების ტრადიციული ფუნქციურობა, სივრცით-კომპოზიციური და მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებები. ასევე, მისაღებია საპროექტო ნაკვეთის და ახალი შენობის ხარფუხის ქუჩასთან დამაკავშირებელი ვიწრო გასასვლელის, ან კიბის მოწყობა, რათა არ გაწყდეს კავშირი ზედა ტერასასთან.
- სასურველია კეთილმოეწყოს ხარფუხის ქუჩის შენობის მიმდებარე მონაკვეთი.

ხელოვნებათმცოდნე
მარინა ხატიაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, თბილისი, ტ. I, 1960, ტ. II, 1961.
2. ვ. ბერიძე, *XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტი ბაგრატიონის გეგმის მიხედვით*, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1947,
3. მ. ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, თბილისი, 1965,
4. თ. ბერიძე, *ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია,* თბილისი, 1977,
5. მ. კარბელაშვილი, ს. კინწურაშვილი, ნ. ჯანბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბილისი, 1958.
6. თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, 2006-2007.
7. Т. Квирквелия, *Архитектура Тбилиси*, Тбилиси, 1982.